სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა

გამოდის 1957 წლიდან

№1 (389) იანვარი, 2026 წელი

თეთრი ხალათების ცერემონია 2026

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულმა პროგრამამ რიგით მეთოთხმეტე თეთრი ხალათების ცერემონიას უმასპინძლა. თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა, ცერემონიაზე პირველსემესტრელებს მიმართა: „თქვენი გზა მედიცინაში მარტივი არ იქნება – იგი მოითხოვს დიდ შრომას, უწყვეტ სწავლას და მრავალი გამოწვევის გადალახვას. თუმცა თეთრი ხალათი, რომელსაც დღეს იცვამთ, პასუხისმგებლობის, ჰუმანიზმისა და იმედის სიმბოლოა. თქვენ ხართ მომავალი ექიმები – ადამიანები, რომლებიც სხვებისთვის იმედის მატარებლები იქნებიან. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მიიღოთ ხარისხიანი განათლება და პროფესიული მხარდაჭერა ამ მნიშვნელოვან გზაზე“.

გვ 3

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ირაკლი ნატროშვილი და აკადემიური განვითარებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე სალომე ვორონოვი 19-23 იანვარს ქალაქ ტარჟერში NAFSA-ის გლობალურ სამიტში მონაწილეობდნენ, რომელიც აერთიანებს მომავალზე ორიენტირებულ საერთაშორისო განათლების სფეროს ლიდერებს.

გვ 2

გაიმართა შეჯიბრი – „ინტელექტუალური თამაში“, სადაც ერთმანეთს თბილისის სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების გუნდები დაუპირისპირდნენ.

დაძაბულ ბრძოლაში საუკეთესო გუნდის ტიტულის მფლობელი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდი გახდა.

გვ 4

როგორც არაერთი წყარო ადასტურებს, უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის გახსნაში, მისი კლინიკებისა და კათედრების ჩამოყალიბებაში, დიდი დამსახურება მიუძღვით მედიცინის თვალსაჩინო წარმომადგენლებს: ივანე თიკანაძეს, სპირიდონ ვირსალაძეს, ალექსანდრე ალადაშვილს, გრიგოლ მუხაძეს, ალექსანდრე მაჭავარიანს, ნიკოლოზ კახიანს...

პროფესორი ალექსანდრე მაჭავარიანი გარდა სამეცნიერო, კლინიკური და პედაგოგიური საქმიანობისა, თითქმის მთელი სიცოცხლის მანძილზე, ეწეოდა საპასუხისმგებლო ადმინისტრაციულ საქმიანობასაც. ის გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი და შემდეგ – უნივერსიტეტის პრორექტორი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დაარსების შემდეგ, 1937 წლიდან, იგი ხელმძღვანელობდა ამ ინსტიტუტს, როგორც დირექტორი.

გვ 5–6

NAFSA-ის გლობალური სამიტზე მახოკში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი **ირაკლი ნატროშვილი** და აკადემიური განვითარებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **სალომე ვორონოვი** 19-23 იანვარს ქალაქ ტარჟერში (მაროკო) იმყოფებოდნენ, სადაც მონაწილეობდნენ NAFSA-ს გლობალურ სამიტში, რომელიც აერთიანებს მომავალზე ორიენტირებულ საერთაშორისო განათლების სფეროს ლიდერებს.

NAFSA-სთან ერთად სამიტს მასპინძლობდა ხმელთაშუაზღვის ამერიკული კოლეჯი/ამერიკული უნივერსიტეტების ინსტიტუტი.

ვიზიტის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს ოფიციალური შეხვედრები ჰქონდათ NAFSA-ს აღმასრულებელ დირექტორთან, **ფანტა აუსთან** და NAFSA-ს პრეზიდენტთან **აჰმად ეზედიზესთან**. მხარეებმა შეხვედრებზე განიხილეს საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერების შესაძლებლობები, აკადემიური მობილობის განვითარების გზები და უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის ახალი ფორმატები.

მთავარი თემით – „მომავლისთვის მზაობა ცივილიზაციების გზაგასაყარზე“ – NAFSA-ს გლობალური სამიტზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო განათლების სისტემების ადაპტაციასა და სტრატეგიულ ხედვებს გლობალური გამოწვევების პირობებში.

მასშტაბური ღონისძიების ფარგლებში გაიმართა დისკუსიები და სესიები, რომელთა მიზანი იყო გამოცდილების გაზიარება, გლობალური ხედვების ჩამოყალიბება და ახალი სტრატეგიული მიმართულებების განხილვა.

თსსუ-ის მონაწილეობა NAFSA-ს გლობალურ სამიტში კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს უნივერსიტეტის აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო საგანმანათლებლო პროცესებში და მის მზაობას, გააძლიეროს თანამშრომლობა გლობალურ აკადემიურ სივრცეში.

თსსუ-ისა და ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის მემორანდუმი გაფორმდა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რაც ორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლობის ახალი ეტაპის დასაწყისია.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ირაკლი ნატროშვილმა** და ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა **ირინე იმერლიშვილმა**.

ოფიციალურ შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ თსსუ-ის ფიზიოლოგიის, ბიოფიზიკის, ბიომექანიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი **თამარ სანიკიძე** და ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი **მაკა ბულეიშვილი**.

შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებები, რაც მოიცავს სტუდენტების თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამებით მომზადებას, აკადემიური და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას, ასევე, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ინიციატივების შემუშავებას.

ბავშვთა ნევროლოგიაში ევროპული აკრედიტაციის მქონე მე-6 კავკასიური კურსს თსსუ უმასპინძლებს

ევროპის პედიატრიული ნევროლოგიური საზოგადოების (EPNS) მმართველთა საბჭოს სხდომას, რომელიც 16-17 იანვარს ბელგიის ქალაქ ლუვენში, პედიატრიის საუნივერსიტეტო კლინიკაში ჩატარდა, თსსუ-ის ვიცე-რექტორი, ბავშვთა ნევროლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი სოფიო ბახტაძე საბჭოს ახლად არჩეული წევრის სტატუსით დაესწრო (საბჭოს შემადგენლობა 2025 წლის სექტემბერში განახლდა და თსსუ-ის ვიცე-რექტორი 4 წლით აირჩიეს).

ერთ-ერთი საკითხი, რაც სხდომაზე განიხილეს, ძველი საბჭოს უფლებამოსილებების გადაბარებას და ახალი შემადგენლობის ფუნქციების განაწილებას ეხებოდა.

პროფესორი სოფიო ბახტაძე ეროვნულ მეთვალყურეთა კომიტეტის (CNA) თავმჯდომარედ დაამტკიცეს, სადაც მისი პასუხისმგებლობა იქნება პედიატრიული ნევროლოგიის ევროპული პოსტდიპლომური სილაბუსის განახლება და სხვადასხვა ქვეყანაში არსებული სასწავლო პროგრამების მონიტორინგი. სოფიო ბახტაძე, ასევე, EPNS-ის განათლებისა და ტრენინგის და ფინანსებისა და საწევროს კომიტეტების წევრად აირჩიეს.

კომიტეტების გადაწყვეტილებით, 2026 წლის 31 ოქტომბერიდან 1 ნოემბერის პერიოდში, თბილისში ჩატარდება ევროპული აკრედიტაციის მქონე მე-6 კავკასიური კურსი ბავშვთა ნევროლოგიაში, რომელსაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი უმასპინძლებს. კურსი მიეძღვნება ბავშვთა ნევროლოგიაში გადაუდებელ მდგომარეობებს.

თსსუ-ის და „ექთანთა გაერთიანების“ ახალი ერთობლივი პროექტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და „ექთანთა გაერთიანება“, ორწლიანი თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, პირველ ერთობლივ პროექტს იწყებს.

პროექტი ითვალისწინებს თსსუ-ის მენტალური ჯანმრთელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში ინოვაციური, სამდონიანი (სტრატეგიული, ტაქტიკური, ოპერაციული) საექთნო სამსახურებრივი სტრუქტურის – საექთნო სამსახურის – შექმნას, რომლის მიზანი მენტალური ჯანმრთელობის სფეროში ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის მიმართულებით პაციენტზე ორიენტირებული, უსაფრთხო და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი საექთნო მომსახურების გაწევაა.

აღნიშნული სტრუქტურა სრულად შეესაბამება ეროვნულ რეგულაციებსა და საერთაშორისო სტანდარტებს და უზრუნველყოფს საექთნო პრაქტიკის მაღალ ხარისხსა და პაციენტის უსაფრთხოებას.

მენტალური ჯანმრთელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში შექმნილი საექთნო სამსახური უზრუნველყოფს უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) სისტემას, რომელიც მოიცავს:

- სამთვიან სასწავლო ციკლებს;
- კლინიკურ და პროფესიულ სუპერვიზიას;
- სპეციალიზებულ კურსებს მენტალური ჯანმრთელობის სფეროში ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის მიმართულებით.

აღნიშნული მიდგომა ექთნებისთვის პროფესიული ზრდის, ლიდერული უნარების განვითარების და თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის თვალსაზრისით რეალურ შესაძლებლობას ქმნის.

თსსუ-სა და „ექთანთა გაერთიანების“ ერთობლი პროექტი ეფუძნება საექთნო რეგულაციების უახლეს ცვლილებებს და მიზნად ისახავს თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკის ინტეგრირებას საქართველოში, განსაკუთრებით მენტალური ჯანმრთელობის სფეროში — ფსიქიატრიასა და ნარკოლოგიაში.

საექთნო სამსახურმა უკვე დაიწყო თსსუ-ის მენტალური ჯანმრთელობის კლინიკისთვის ექთნების შერჩევის პროცესი.

სტენლი მიუზიკის სახელობის მემორიალური ლექცია თსსუ-ში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, თსსუ-ის (თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის) ინიციატივით, აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრთან (CDC) პარტნიორობით, გაიმართა საჯარო ლექცია და პანელური დისკუსია თემაზე – **„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ლიდერების მომავალი თაობის აღზრდა“.**

ღონისძიება სტენლი მიუზიკის სახელობის მემორიალურ ლექციათა ციკლის ფარგლებში ჩატარდა, რომელიც 2022 წლიდან იმართება და ეძღვნება გამორჩეული ეპიდემიოლოგის, დოქტორ სტენლი მიუზიკის მემკვიდრეობას. სწორედ მისმა საქმიანობამ 1995 წელს, თბილისში, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში CDC-ის პირველი ეპიდემიოლოგიური სწავლების პროგრამის ჩამოყალიბებას. დოქტორ მიუზიკის პროფესიული გზა დღემდე მაგალითია თაობებისთვის საზოგადოებრივი სამსახურის, მენტორობისა და გლობალური ჯანმრთელობის ლიდერობის მიმართულებით.

წლევანდელ ლექციას დოქტორი ვაფაა ელ-სადრი (აშშ), კოლუმბიის უნივერსიტეტში ICAP-ის დამფუძნებელი და გლობალური დირექტორი, ასევე Columbia Global-ის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი უძღვებოდა. დოქტორი ელ-სადრი საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული ლიდერია ინფექციური დაავადებებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში და ოთხ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ფართომასშტაბიან ინიციატივებს აივ/შიდსის, ტუბერკულოზის, ახალი და აღმოცენებადი ინფექციების კონტროლისა და ჯანდაცვის სისტემების გაძლიერების მიმართულებით მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში.

„მოხარული ვარ, რომ დღეს, ამ სივრცეში, მაქვს შესაძლებლობა გაგიზიაროთ ჩემი ცოდნა და გამოცდილება ისეთ საკითხებზე, რომლებიც ეხება საზოგადოებრივ ჯანმრთელობას და მსოფლიოში გავრცელებულ ინფექციურ დაავადებებს. ამისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს. სტენლი მიუზიკის სახელობის მემორიალური ლექცია აგრძელებს ისტორიას მომავალი თაობებისთვის,“ – აღნიშნა დოქტორმა ელ-სადრიმ.

ლექციის დასრულების შემდეგ გაიმართა პანელური დისკუსია, რომელშიც CDC-ის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტები საქართველოდან, სომხეთიდან, მოლდოვიდან და უკრაინიდან.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალები, მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამების სტუდენტები და უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალი.

საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლების ვიზიტი თსსუ-ში



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლები – საფრანგეთის საელჩოს მრჩეველი კულტურისა და თანამშრომლობის საკითხებში – კამილ ნორა, საუნივერსიტეტო და სამეცნიერო თანამშრომლობის ატაშე ლისა ბარიე და „კამპუს ფრანსის“ წარმომადგენელი ნათია ფხალაძე – ესტუმრნენ.

სტუმრებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა უმასპინძლეს.

შეხვედრაზე მხარეებმა იმსჯელეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და საფრანგეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ERASMUS+-ის პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობას, ასევე, მომავალში ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავებას.

საელჩოს წარმომადგენლებმა შეხვედრაზე მზადყოფნა გამოთქვეს, ხელი შეუწყონ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ფრანგული ენის სწავლებას. აღინიშნა, რომ ფრანგული ენის ცოდნა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თსსუ-ის სტუდენტების აკადემიურ მობილობასა და მათ სრულფასოვან ჩართულობას საფრანგეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამებში.

საქმიანი ვიზიტით ქალაქ ჩენში (საფრანგეთი)

ევროკომისიის მიერ დაფინანსებული Erasmus+ KA171 პროგრამის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი ლია გუმბარიძე საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის უმაღლეს სკოლაში – EHESP (École des Hautes Études en Santé Publique) ქალაქ რენში, საფრანგეთი.

ვიზიტის განმავლობაში, ასისტენტ-პროფესორ ლია გუმბარიძეს სამუშაო შეხვედრები და პროფესიული კონსულტაციები ჰქონდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის უმაღლესი სკოლის აკადემიური, ადმინისტრაციული და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების წარმომადგენლებთან; განიხილეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი, სწავლების პედაგოგიური მიდგომები, სტუდენტთა აკადემიური შეფასების სისტემები, აგრეთვე, Erasmus+ პროგრამის ფარგლებში, სამაგისტრო პროგრამებზე ჩართული სტუდენტების საერთაშორისო მობილობის ადმინისტრაციული და ორგანიზაციული პროცედურები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საერთაშორისო სტუდენტებთან მუშაობის პრაქტიკას, მათი აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმებს, ასევე სტუდენტთა ინტეგრაციისა და ადაპტაციის პროცესის ეფექტიან მართვას.

ვიზიტის ფარგლებში, გამოიკვეთა ფრანგული მხარის მზაობა და ინტერესი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის კუთხით, მათ შორის, სამეცნიერო კვლევებისა და აკადემიური თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით.

პირველსემესტრელთა საანგარიშო კონფერენცია – „სოციოლოგია ჯანდაცვაში“

თსსუ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის დეპარტამენტის ორგანიზებით და ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების აქტიური ჩართულობით, ჩატარდა ტრადიციული პირველსემესტრელთა სამეცნიერო კონფერენცია – „სოციოლოგია ჯანდაცვაში“.

ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იყო პირველი კურსის სტუდენტების მიერ მომზადებული მცირე კვლევითი ნაშრომები, რომლებიც ეხებოდა ჯანდაცვის სფეროში არსებულ აქტუალურ საკითხებს და გამოწვევებს, ჯანმრთელობის სოციალურ დეტერმინანტებს, ქცევით რისკ-ფაქტორებსა და მნიშვნელოვან ფსიქო-სოციალურ პრობლემატიკას. სტუდენტებმა გამოავლინეს კვლევის დაგეგმვის, მონაცემთა გაანალიზების, შედეგების ინტერპრეტაციისა და პრეზენტაციის უნარ-ჩვევები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტთა შემდგომი აკადემიური და პროფესიული განვითარებისათვის.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ქართული და ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტები: მარიამ მოდებაძე, ნატალია გურგენიძე, ლევან გეთია, მარიამ ლიპარტელიანი, ანასტასია მიგინეიშვილი, ლიკა სიჭინავა, ანანო ბიბილაშვილი, მოჰამად სარსური, კარამ შაირი. წარმოდგენილი ნაშრომები შესრულებული იყო ასისტენტ-პროფესორების: ლია გუმბარიძის, ნინო ჯაფარიძისა და მარინა ყაჯრიშვილის ხელმძღვანელობით.

თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის

თეთრი ხალათების ცერემონია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულმა პროგრამამ რიგით მეთოთხმეტე თეთრი ხალათების ცერემონიას უმასპინძლა – ტრადიციულ ღონისძიებას, რომელიც პროგრამის პირველსემესტრელი სტუდენტებისთვის პროფესიული გზის ოფიციალურ დასაწყისს აღნიშნავს.

თეთრი ხალათი მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტისთვის მხოლოდ აკადემიური ატრიბუტი არ არის – იგი პასუხისმგებლობის, ეთიკისა და ადამიანის სიცოცხლისადმი ერთგულების სიმბოლოა. ამ დღეს სტუდენტები პირველად ირგებენ იმ პროფესიულ როლს, რომელიც მათგან მოითხოვს თანაგრძნობას, თანამშრომლობასა და მეცნიერულ ცოდნაზე დაფუძნებულ ზრუნვას.

თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის 2031 წლის გამოსაშვები კურსის თეთრი ხალათების ცერემონიას უძღვებოდა პროგრამის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი **ეკა ეკალაძე**. ღონისძიების ფარგლებში სიტყვით გამოვიდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ირაკლი ნატროშვილი;** აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი **რიმა ბერიაშვილი;** უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი **რუსუდან რუხაძე;** თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **თინათინ ტყემალაძე;** ამერიკული პროგრამის კურსის – „გახდი ექიმი“ – კოორდინატორი, ასოცირებული პროფესორი **ნანი ყავლაშვილი** და პროგრამის მეექვსე კურსის სტუდენტი, **მიქაელ ჟორჟოლიანი.**

ცერემონიის მონაწილეებს სიტყვით მიმართა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა, რომელმაც ყურადღება გაამახვილა იმ გამოწვევებზე, რომლებიც ექიმის პროფესიის არჩევას ახლავს თან. „თქვენი გზა მედიცინაში მარტივი არ იქნება – იგი მოითხოვს დიდ შრომას, უწყვეტ სწავლას და მრავალი გამოწვევის გადალახვას. თუმცა თეთრი ხალათი, რომელსაც დღეს იცვამთ, პასუხისმგებლობის, ჰუმანიზმისა და იმედის სიმბოლოა. თქვენ ხართ მომავალი ექიმები – ადამიანები, რომლებიც სხვებისთვის იმედის მატარებლები იქნებიან. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მიიღოთ ხარისხიანი განათლება და პროფესიული მხარდაჭერა ამ მნიშვნელოვან გზაზე,“ – აღნიშნა რექტორმა.

სტუდენტების წინაშე სიტყვით წარდგა პროფესორი **რიმა ბერიაშვილი**, რომელმაც ხაზი გაუსვა თეთრი ხალათების ცერემონიის მორალურ და პროფესიულ დატვირთვას, ისევე როგორც პროგრამის საერთაშორისო მნიშვნელობას: „თეთრი ხალათების ცერემონია სტუდენტებისთვის პროფესიული გზის დასაწყისს და მორალური პასუხისმგებლობის აღებას ნიშნავს. თეთრი ხალათი ექიმის პატიოსნების, ჰუმანურობისა და პროფესიული ღირსების სიმბოლოა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლასთან პარტნიორობით არის შექმნილი, მიზნად ისახავს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი ექიმების მომზადებას, რომლებიც მზად არიან პროფესიული განვითარებისთვის როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო სივრცეში“.

ცერემონიის მნიშვნელობაზე ყურადღება გაამახვილა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა **რუსუდან რუხაძემ**, რომელმაც თეთრი ხალათის სიმბოლურ დატვირთვაზე ისაუბრა: „თეთრი ხალათის პირველად ჩაცმისას სტუდენტები იღებენ არა მხოლოდ აკადემიურ სტატუსს, არამედ დიდ ადამიანურ პასუხისმგებლობასაც. იგი გვახსენებს, რომ მედიცინა მხოლოდ ცოდნა და დიაგნოზი არ არის – ეს არის ემპათია, სინდისი და მზრუნველობა ადამიანის სიცოცხლის მიმართ. მომავალ ექიმებს ვუსურვებ, ატარონ თეთრი ხალათი სიამაყით, მაგრამ ყოველთვის თავმდაბლობითა და ღირსებით“.

ცერემონიის ფარგლებში სიტყვით გამოვიდა თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი **ეკა ეკალაძე,** რომელმაც განსაკუთრებული აქცენტი მომავალი ექიმის პიროვნულ თვისებებზე გააკეთა: „თუ ერთი სიტყვით უნდა აღვწეროთ მომავალი ექიმის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება, ეს არის სიმამაცე. სიმამაცეა აირჩიო მედიცინა, იმუშაო დაუღალავად, იყო პატიოსანი, დაიცვა თითოეული პაციენტის ღირსება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დარჩე ადამიანად“.

მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **თინათინ ტყემალაძე** სტუდენტებს მეცნიერების როლისა და უნივერსიტეტის ღირებულებების მნიშვნელობაზე ესაუბრა. „ტუ იუიუს ისტორია გვახსენებს, რომ მეცნიერებაში წინსვლა ყოველთვის მხოლოდ უახლეს ტექნოლოგიებში არ იბადება. ზოგჯერ პასუხი ძველ, დავიწყებულ ტრადიციებში იმალება. სწორედ სიმტკიცე, ცნობისმოყვარეობა და საქმისადმი სწრაფვა აძლევს ადამიანს ძალას, შეცვალოს მილიონობით ადამიანის ბედი. ჩვენი უნივერსიტეტის დევიზი – ტრადიციებით მომავლისკენ – ამ იდეას სრულად ასახავს,“ – აღნიშნა მან.

სტუდენტებს საკუთარი პროფესიული ხედვა და გამოცდილება გაუზიარა ამერიკული პროგრამის სასწავლო კურსის – „გახდი ექიმი“ – კოორდინატორმა, ასოცირებულმა პროფესორმა **ნანი ყავლაშვილმა**: „ექიმის პროფესია მხოლოდ თეორიულ ცოდნას არ ეფუძნება. პაციენტთან ურთიერთობა, თანაგრძნობა რთულ მომენტებში, პასუხისმგებლობა საკუთარ გადაწყვეტილებებზე და მუდმივი მზადყოფნა სწავლისთვის – ეს არის ის ღირებულებები, რომლებიც ექიმს პროფესიონალად აყალიბებს. იყო ექიმი არ ნიშნავს, რომ შეცდომისგან დაზღვეული ხარ; ეს ნიშნავს პასუხისმგებლობას, თავმდაბლობას და ძალას, რომ შეცდომის შემდეგაც გააგრძელო გზა“.

ცერემონიაზე განსაკუთრებული ემოციური აქცენტი გააკეთა პროგრამის მეექვსე კურსის სტუდენტმა, **მიქაელ ჟორჟოლიანმა**, რომელმაც პირველსემესტრელებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარა: „თეთრი ხალათი უბრალოდ ქსოვილის ნაჭერია – მნიშვნელობას მას თქვენ ანიჭებთ. პაციენტებს არ დაამახსოვრდებათ, რამდენად ჭკვიანურად საუბრობდით, მაგრამ დაამახსოვრდებათ, მოუსმინეთ თუ არა, აუხსენით თუ არა ყველაფერი გასაგებად და პატივისცემით მოექეცით თუ არა. შეცდომების ნუ შეგეშინდებათ – ეს სწავლების ნაწილია. დაეხმარეთ ერთმანეთს, რადგან მედიცინა ინდივიდუალური თამაში არ არის. ეს მხოლოდ დასაწყისია და არა ფინალური ხაზი“.

ფაკულტეტის წევრებმა და მოწვეულმა სტუმრებმა პროგრამის პირველსემესტრელი სტუდენტები ოფიციალურად შემოსეს თეთრი ხალათებით და მიულოცეს ახალი ეტაპის დაწყება – პირველი ნაბიჯი სამედიცინო პროფესიისა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გზაზე.

ცერემონია დასრულდა პროფესიული ფიცის დადებით, რომელსაც უძღვებოდა თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის შინაგანი მედიცინის სუბინტერშიფის კოორდინატორი, პროფესორი **ნინო ქანთარია.** ამ სიმბოლურმა ჟესტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მედიცინის ფუნდამენტურ პრინციპებსა და ღირებულებებს და სტუდენტების პასუხისმგებლობას, ერთგულად დაიცვან ისინი.

თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის თეთრი ხალათების ცერემონია, ამავე დროს, წარმოაჩენს მტკიცე აკადემიურ თანამშრომლობას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლას შორის და ასახავს დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის მთავარ მიზანს – სტუდენტებს შესთავაზოს სამედიცინო განათლება, რომელიც სრულ შესაბამისობაშია აშშ-ის სტანდარტებთან.

ნინი ზარდიაშვილი
თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის
ამერიკული პროგრამის
დირექტორის მოადგილე

სტუდენტური გვერდი

წელი გამარჯვებით დაიწყო

2026 წელი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის სასიხარულო ამბითა და წარმატებით დაიწყო.

24 იანვარს, სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოების ორგანიზებით, ქ. თბილისის მერიის დაფინანსებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების მხარდაჭერით, გაიმართა შეჯიბრი – „ინტელექტუალური თამაში“, სადაც ერთმანეთს თბილისის სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების გუნდები დაუპირისპირდნენ.

დაძაბულ ბრძოლაში საუკეთესო გუნდის ტიტულის მფლობელი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდი გახდა.

წარმოგიდგენთ გამარჯვებულებს:

დავით ნადარაია, მარიამ შერგელაშვილი, კონსტანტინე მაქსიმილიან პეტერი, ნიკოლოზ ჩიხლაძე, დათო ბენიძე, ნინო ჯამრულიძე.

დაგვეთანხმებით, ძალიან საამაყოა ასეთი მასშტაბის შეჯიბრებაში წარმატება, რაც, უდავოდ, ჩვენი სტუდენტების მაღალინტელექტუალური დონის, ცოდნის და გონიერების მაჩვენებელია.

წარმატებებს ვუსურვებთ ყველა მათგანს!

„ყველაზე მეტად ის დღეები მიყვარს, როცა თსსუ-ში მოვდივარ“

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში უამრავი გამორჩეული და მრავალმხრივ ნიჭიერი ახალგაზრდა სწავლობს, გადავწყვიტეთ, გაზეთის ამ ნომერში ერთ-ერთი მათგანი – **ალექსანდრე ბაზანოვი-ბობოხიძე** გაგაცნოთ.

– მოგესალმები, ალექსანდრე. ტრადიციას არ დავარღვევ და ინტერვიუს დასაწყისში გთხოვ, ჩვენს მკითხველს გაეცნო.

– მოგესალმებით, მე ალექსანდრე ბაზანოვი-ბობოხიძე ვარ, 18 წლის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სემესტრის სტუდენტი.

– მოგვიყევი ბავშვობის შესახებ, როგორი იყო შენი განვლილი გზა სტუდენტობამდე?

– დავიბადე ბილბაოში (ბასკეთში, ესპანეთი) 2007 წლის 26 ივლისს, ქართულ ოჯახში. მყავს დედა, მამა და ორი უფროსი ძმა. ვარ პატრიარქის ნათლული. სკოლა ბილბაოში დავამთავრე. ოთხი წლიდან ვთამაშობ რაგბის (ოჯახის ტრადიციაა). ბატონი გოჩა ბერიაშვილის დამსახურებით, ვუკრავ ქართულ ხალხურ ინსტრუმენტებზე – სალამურზე, ფანდურზე, ასევე ვასრულებ ქართულ ხალხურ სიმღერებს.

– მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთში ცხოვრობდი, ძალიან კარგად ფლობ ქართულ ენას. ვის მიუძღვის ამაში განსაკუთრებული წვლილი?

– მე და ჩემი ძმები ზაფხულის არდადეგებზე მშობლებს ყოველწლიურად დავყავდით საქართველოში. ამასთან, ჩემი ბებო და ბაბუ ჩვენთან, ესპანეთში ცხოვრობდნენ, რაც ძალიან დაგვეხმარა ქართული ენის კარგად დაუფლებასა და ათვისებაში. ოჯახში ერთმანეთთან მხოლოდ ქართულად ვლაპარაკობთ (დედამ დააკანონა).

– რამდენად რთული იყო შენთვის ესპანეთიდან საქართველოში საცხოვრებლად გადმოსვლა და ოჯახის წევრებთან განშორება?

– ესპანეთიდან საქართველოში გადმოსვლა მარტივი არ ყოფილა. ვტოვებდი ჩემთვის ნაცნობ გარემოს, მეგობრებს და ცხოვრების წესს, რომელსაც წლები ვიყავი შეჩვეული. თავიდან ყველაფერი უცხოდ მეჩვენებოდა და ადაპტაცია გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვდა, თუმცა, კურსელებისა და ახლობლების დახმარებით, შედარებით სწრაფად შევეჩვიე ახალ გარემოს – „მხარდამჭერი ჯგუფი” ძალიან დამეხმარა. ასევე, ის ფაქტი, რომ დედა ძირითადად აქ არის, ჩემთვის ემოციურად დიდი მხარდაჭერა აღმოჩნდა. ამ ყველაფერმა ჩემში პასუხისმგებლობისა და დამოუკიდებლობის შეგრძნება უფრო სწრაფად გაზარდა.

– ალექსანდრე, რატომ გადაწყვიტე ცხოვრება მედიცინისათვის დაგეკავშირებინა?

– მედიცინა დეიდამ – ნანა ბობოხიძემ – შემაყვარა. ზაფხულის არდადეგებზე ხშირად ვიყავით მასთან და ნანა დეიდა ბავშვური ენით მიხსნიდა და მასწავლიდა ადამიანის ორგანიზმის აგებულებას. მან შემაყვარა თავისი პროფესია და უნივერსიტეტი.

– რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩაირიცხე და როგორია შენი სტუდენტური ცხოვრება?

– სამედიცინო უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემდეგ, დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ, როგორც უნივერსიტეტის, ასევე, ოჯახის წინაშე. ყველაზე მეტად ის დღეები მიყვარს, როცა უნივერსიტეტში მოვდივარ. უნდა ვთქვა, რომ მყავს საუკეთესო კურსელები, ლექტორები, ამასთან, ვუკრავ და ვმღერი უნივერსიტეტის ფოლკლორულ ჯგუფში. საახალწლო კონცერტშიც მივიღე მონაწილეობა. მიყვარს მუსიკა, თეატრი, დავდივარ დარბაზში. საახალწლო არდადეგებზე კი ოჯახს ვესტუმრე ბილბაოში და ახლა მთელი დატვირთვით სემესტრის ფინალურ გამოცდებზე ვარ გადართული. ეს არის ჩემი ბალანსი სწავლასა და დასვენებას შორის.

– რა მიმართულებით აპირებ სწავლის გაგრძელებას და ზოგადად, როგორია შენი სამომავლო გეგმები?

– მედიცინის ექვსწლიანი სწავლების დასრულების შემდეგ, დიდი ალბათობით, ვგეგმავ ესპანეთში დაბრუნებას და იქ რეზიდენტურის გავლას. განსაკუთრებით მაინტერესებს ალერგოლოგია, იმიტომ, რომ აღმომაჩნდა ზღვის პროდუქტებზე ალერგია (თევზის გარდა), რაც ამ მიმართულების მიმართ ინტერესს კიდევ უფრო გამიღრმავებს.

– წარმატებებს გისურვებ, ალექსანდრე; იმედია, რომ ექიმის პროფესია, რომელიც თქვენ აირჩიეთ, არაერთგზის იქნება წარმატებული და მალე, ყველანი ვიამაყებთ იმის გაცნობიერებით, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა კიდევ ერთ ღირსეულ მომავალ ექიმს დაულოცა სამომავლო ასპარეზი, რომლისთვისაც ნამდვილად ღირებული იქნება ეროვნული ფასეულობები, კულტურა, ტრადიციები და რომელიც მუდამ ღირსეულად დაიცავს მშობლიური Alma-Mater -ის სახელს და ღირსებას!

– მადლობას მოგახსენებთ თქვენ და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „სამედიცინო გაზეთს” ჩემი პიროვნებით დაინტერესებისთვის; ამასთან, იმედს გამოვთქვამ, რომ ჩვენი ურთიერთობა უფრო საინტერესო და მრავლის – მომცველი გახდება.

**ნინო ჭილლაძე – „სამედიცინო გაზეთის” სტუდენტური გვერდის ხელმძღვანელი,
თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი, დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტი**

სახელობითი სტიპენდიები თსსუ-ის წარმატებულ სტუდენტებს

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის თოთხმეტ წარმატებულ სტუდენტს სახელობითი სტიპენდიები გადაეცა. საზეიმო ღონისძიება თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა **ირაკლი ნატროშვილმა** გახსნა და მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა:

„ძალიან მნიშვნელოვანია ღონისძიებები, როდესაც კონკრეტული ადამიანები სტუდენტებისთვის სახელობით სტიპენდიებს აწესებენ. ეს ერთგვარი დაფასებაა სტუდენტების შრომის და, ამავე დროს, ძლიერი მოტივაცია სხვა ახალგაზრდებისთვის. **სიკეთე გადამდებია. მიხარია, რომ ბოლო პერიოდში წარმატებული სტუდენტების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ამ სტიპენდიების დაწესებაში მიიღო მონაწილეობა**”.

ღონისძიებას ესწრებოდნენ თსსუ-ის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, ასევე, სტიპენდიების გამცემი პირები და ორგანიზაციების წარმომადგენლები. ღონისძიების ფარგლებში, თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა, მადლობის სიგელები გადასცა ყველა იმ პირსა და ორგანიზაციას, რომლებმაც თსსუ-ის სტუდენტებისთვის სახელობითი სტიპენდიები დააწესეს.

სახელობითი სტიპენდიები და წარმატებულ სტუდენტთა სია:

- **პროფესორ შიო გუგეშაშვილის სახელობის სტიპენდია**

სტიპენდიის გამცემი – ემერიტუსი პროფესორი **დავით გორდელაძე;**

სტიპენდიატი – მედიცინის ფაკულტეტის მე-11 სემესტრის სტუდენტი **ხატია ჩაჩუა.**

- **ბიძინა ჭუმბურიძის სახელობის სტიპენდია**

სტიპენდიის გამცემი – პროფესორი **თამარ ჩიკვილაძე;**

სტიპენდიატი – ფარმაციის ფაკულტეტის მე-7 სემესტრის სტუდენტი **მარიამ ენუქიძე.**

- **იოველ ქუთათელაძის** ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის მიერ დაწესებული სტიპენდიები:

იოველ ქუთათელაძის სახელობის სტიპენდია

სტიპენდიატი – ფარმაციის ფაკულტეტის მე-7 სემესტრის სტუდენტი **დიანა სარქისიანი.**

ეთერ ქემერტელიძის სახელობის სტიპენდია

სტიპენდიატი – ფარმაცევტული ანალიზის სამაგისტრო პროგრამის მე-2 კურსის სტუდენტი **ნინო გელხვიიძე**.

- **პროფესორ ავთანდილ ჯორბენაძის სახელობის სტიპენდია**

სტიპენდიის გამცემი – თსსუ-ის ვიცე-რექტორი, პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია;**

სტიპენდიატი – მედიცინის ფაკულტეტის მე-9 სემესტრის სტუდენტი **ლუკა ჯღარკავა.**

- **ემერიტუსი დავით გორდელაძის სახელობის სტიპენდია**

სტიპენდიის გამცემი – **ემერიტუსი დავით გორდელაძე;**

სტიპენდიატი – მედიცინის ფაკულტეტის მე-11 სემესტრის სტუდენტი **სალომე ქუთათელაძე.**

- **პროფესორ შალვა თოიძის სახელობის სტიპენდია**

სტიპენდიის გამცემი – **ემერიტუსი პროფესორი ილია ჭანუყვაძე;**

სტიპენდიატი – მედიცინის ფაკულტეტის მე-7 სემესტრის სტუდენტი **ვახტანგ კახიანი.**

- **თამაზ ბექაიას სახელობის სტიპენდია**

სტიპენდიის გამცემი – **გოგა ჩანადირი**;

სტიპენდიატები: ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის მე-7 სემესტრის სტუდენტი – **ალბერტ სომხიშვილი**;

საექთნო და სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამის მე-3 სემესტრის სტუდენტი **სალომე კვარაცხელია;**

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის მე-7 სემესტრის სტუდენტი **მარიამ კევლიშვილი;**

ფარმაციის ფაკულტეტის მე-5 სემესტრის სტუდენტი **საბა ბაჩალიაშვილი.**

- **„ჰეალაინ ინტერნეიშენალის“ სახელობის სტიპენდია**

სტიპენდიის გამცემი – „ჰეალაინ ინტერნეიშენალის“ დირექტორი **ირაკლი ბებიაშვილი;**

სტიპენდიატები: მედიცინის ფაკულტეტის მე-11 სემესტრის სტუდენტი **ანი გოგოჭური**;

მედიცინის ფაკულტეტის მე-11 სემესტრის სტუდენტი **გიორგი ჯამბურია.**

- **„იმედის კლინიკის“ სახელობის სტიპენდია**

სტიპენდიის გამცემი – „იმედის კლინიკის“ გენერალური დირექტორი **დავით კობეშავიძე;**

სტიპენდიატი – მედიცინის ფაკულტეტის მე-9 სემესტრის სტუდენტი **ნია ბოლაშვილი.**

ალექსანდრე მაჭავარიანი – მეხუთე რექტორი

ალექსანდრე მაჭავარიანი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მეხუთე რექტორი (დირექტორი) გახლდათ. მან, კლინიკურ საქმიანობასთან ერთად, ამ მნიშვნელოვან პოზიციაზე ილვაწა ურთულეს პერიოდში – 1937-1941 წლებში. მის შესახებ ბიოგრაფიული მონაცემების მოძიება რთული არ ყოფილა, თუმცა სტატიისთვის საჭირო ინფორმაციით შევსება მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, სერგო საყვარელიძის წიგნის – „ალექსანდრე მაჭავარიანი – ცხოვრება და მოღვაწეობა“ – დახმარებით და მის შთამომავლებთან გასაუბრებით შევძელით.

ბავშვობა

ალექსანდრე მაჭავარიანი ქუთაისის გიმნაზიის მონაფე

ალექსანდრე მაჭავარიანი დაიბადა 1884 წელს ბათუმში, მოსამსახურის ოჯახში. მან ბავშვობის დიდი ნაწილი გაატარა ბაბუასთან, დავით მაჭავარიანთან, რომელიც, პეტერბურგის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, იყო დეკანოზი აფხაზეთში. ალ. მაჭავარიანის მშობლები – გიორგი მაჭავარიანი და ეკატერინე შოთაძე იყვნენ საზოგადო მოღვაწეები და ქველმოქმედები, პეტერბურგის იურიდიული ფაკულტეტის დასრულების შემდეგ გიორგი მაჭავარიანი იყო ერთ-ერთი გამორჩეული ადამიანის უფლებების დამცველი; მჭევრმეტყველების გამო მას მეტსახელად ციცერონი შეარქვეს. ასეთ გარემოში აღზრდამ დიდი გავლენა მოახდინა ალექსანდრეს პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

ალექსანდრე მაჭავარიანის მშობლები

8 წლის საშა, როგორც მას ბავშვობაში ეძახდნენ, მშობლებმა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში შეიყვანეს სასწავლებლად. ცნობილია, რომ ის გამორჩეული მოსწავლე გახლდათ, რაც იმითაც დასტურდება, რომ ვერცხლის მედალზე დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია; იმთავითვე სწავლას მოწადინებულმა, გიმნაზიაში სწავლის პერიოდშივე დამოუკიდებლად შეისწავლა ფრანგული ენა, გიმნაზიის დასრულების შემდეგ აისრულა ბავშვობის ოცნება და ჩააბარა ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე.

დეკანოზი დავითი

ცნობილი ქირურგის და პედაგოგის გამორჩეული სტუდენტი და მონაფე

ალექსანდრე მაჭავარიანს პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში სწავლის დიდი სურვილი ჰქონდა, ამიტომაც, 1907 წელს, სწავლას სწორედ აღნიშნულ აკადემიაში აგრძელებს. სტუდენტობისას იგი აქტიურად ერთვება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1910 წელს ალექსანდრე მაჭავარიანი წარჩინებით, პირველი ხარისხის დიპლომით, ამთავრებს პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიას და მას ორდინატორად ტოვებენ აკადემიის ქირურგიულ კლინიკაში. ეს იყო ერთ-ერთი უძველესი და ცნობილი კლინიკა, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ველიამინოვი, რომელიც გამორჩეული კლინიცისტი გახლდათ. მან პირველმა მიუთითა ენდოკრინოლოგიის მნიშვნელობის შესახებ ქირურგიაში. ნ. ველიამინოვს მუშაობა უხდებოდა მაშინ, როცა დიაგნოზის დასმა ხდებოდა რენტგენოლოგიური და ლაბორატორიული კვლევის გარეშე, ავადმყოფის საწოლთან მოპოვებული კლინიკური მონაცემების მიხედვით. ამიტომ მოწაფეებს ურჩევდა დახელოვნებულიყვნენ კლინიკური მონაცემების გარკვევაში. ის გახლდათ საუკეთესო ლექტორი და პედაგოგი. პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის საფაკულტეტო ქირურგიის კლინიკის ორდინატორად მუშაობის დროს ახალგაზრდა ექიმმა, ალექსანდრე მაჭავარიანმა, ნიჭიერებით და მონდომებით ველიამინოვის ყურადღება მიიქცია.

პროფესორი ნ. ველიამინოვის რჩევით და დავალებით, 1911 წელს, ალექსანდრე მაჭავარიანი აწყობს სამედიცინო ექსპედიციას სვანეთში ჩიყვის გავრცელების შესასწავლად.

სვანეთის ექსპედიციის დროს ალექსანდრე მაჭავარიანმა დიდი შრომა გასწია, მასწავლებლის ყველა დავალება ბრწყინვალედ შეასრულა – შეაგროვა მდიდარი და საინტერესო მასალა ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მოშლის სხვადასხვა გამოვლენის შესახებ. მან ეს მასალა მეცნიერულად დაამუშავა და რამდენიმე შრომა დაწერა, მათ შორის, სადოქტორო დისერტაცია – „სისხლის შედედება, წებოვნება და ზოგიერთი სხვა ჰემატოლოგიური მონაცემი ჩიყვის სხვადასხვაგვარი სახეების დროს“, რომელიც აკადემიის დამთავრებიდან 3 წლის შემდეგ, 1914 წელს, წარმატებით დაიცვა. ოფიციალურმა ოპონენტებმა სადისერტაციო ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს და დარგში საუკეთესო ნაშრომად აღიარეს. დისერტაციის დაცვის შემდეგ პროფესორ ველიამინოვს უთქვამს: „ალექსანდრე გიორგის ძე ჩემი უკანასკნელი საჩუქარია მეცნიერებისათვის“.

ამის შემდეგაც ალ. მაჭავარიანი ველიამინოვის ხელმძღვანელობით განაგრძობს პრაქტიკულ და მეცნიერულ მუშაობას.

ფრონტზე

1914 წელს, პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს, ალექსანდრე მაჭავარიანი ფრონტზე იმყოფებოდა – ჯერ მუშაობდა ვარშავის ერთ-ერთ ჰოსპიტალში, შემდეგ, როგორც ქირურგი-ინსტრუქტორი, სხვადასხვა ფრონტზე; ბოლოს გვარდიის არმიის მთავარ ქირურგად დაინიშნა. სახელოვანი პედაგოგის აღზრდილი ნიჭიერი ახალგაზრდა ქირურგი უფრო ღრმად ეუფლება სამხედრო-საველე ქირურგიას და რთულ პირობებში, უშუალოდ საბრძოლო რეგიონში, არაერთ სასწრაფო ოპერაციას აკეთებს.

ალექსანდრე მაჭავარიანი ვარშავის ჰოსპიტლის მთავარი ქირურგი

საბრძოლო ვითარებაში მიღებული მდიდარი ქირურგიული გამოცდილება ალექსანდრე მაჭავარიანს საშუალებას აძლევს, ჯარში პრაქტიკულ ქირურგიულ მუშაობასთან ერთად, მეცნიერულად დაამუშაოს სამხედრო-საველე ქირურგიის მთელი რიგი საკითხები.

ომის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობს ამიერკავკასიის სამხედრო ჰოსპიტალში ქირურგ კონსულტანტად

თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დაფუძნების სათავეებთან

როგორც არაერთი წყარო ადასტურებს, უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის გახსნაში, მისი კლინიკებისა და კათედრების ჩამოყალიბებაში, დიდი დამსახურება მიუძღვით მედიცინის თვალსაჩინო წარმომადგენლებს: ივანე თიკანაძეს, სპირიდონ ვირსალაძეს, ალექსანდრე ალადაშვილს, გრიგოლ მუხაძეს, ალექსანდრე მაჭავარიანს, ნიკოლოზ კახიანს...

1918 წლის დეკემბერში მიღებული იყო დადგენილება თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე, სხვა კათედრებთან ერთად, ტოპოგრაფიული ანატომიის და ოპერაციული ქირურგიის კათედრის მოწყობის შესახებ, რომელსაც უნდა უზრუნველეყო აღნიშნული საგნის სწავლება მესამე კურსის სტუდენტებისთვის. უკვე 1919 წლის იანვარში კათედრის გამგედ სამკურნალო ფაკულტეტმა აირჩია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ალექსანდრე მაჭავარიანი, ხოლო ასისტენტებად – დ. იოსელიანი და ნ. დემეტრაძე.

კათედრა აკადემიურ მუშაობას შეუდგა იმავე წლის სექტემბერში; ალექსანდრე მაჭავარიანი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა ტოპოგრაფიული ანატომიის და ოპერაციული ქირურგიის სწავლების საკითხს, რადგან კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ახალგახსნილ უნივერსიტეტს არასაკმარისი პროფესიონალები ჰყავდა სამეცნიერო თვალსაზრისით და იმჯერად არავინ იყო, რომ საგნის სწავლებისთვის გაეწია ხელმძღვანელობა, თორემ მას გული კლინიკისკენ მიუწევდა...

1919 წლის ნოემბერში ქ. ეკატერინოსლავიდან თბილისში ჩამოვიდა უკვე სახელმოხვეჭილი მეცნიერი, პროფესორი ნიკოლოზ საულის ძე კახიანი, რომელსაც უკვე საკმაო გამოცდილება ჰქონდა მიღებული ტოპოგრაფიული ანატომიის და ოპერაციული ქირურგიის სწავლების საქმეში. ალექსანდრე მაჭავარიანი სიხარულით შეხვდა ნიკოლოზ კახიანის სამშობლოში დაბრუნებას, დაუთმო კათედრაზე საპასუხისმგებლო საქმიანობა, თავად კი სათავეში ჩაუდგა საფაკულტეტო ქირურგიის კათედრას და ქირურგიულ კლინიკას, რომელსაც სიკვდილამდე ხელმძღვანელობდა.

კლინიკის ხელმძღვანელი და გულისხმიერი ექიმი

კლინიკა, რომელსაც ალექსანდრე მაჭავარიანი 21 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, თავდაპირველად მხოლოდ 50 საწოლზე გაშლილი და სამედიცინო აღჭურვილობითაც ნაკლებ უზრუნველყოფილი იყო, თუმცა, ალექსანდრე მაჭავარიანის ენერგიული შრომის და ძალისხმევის შედეგად, იგი თანდათან გაფართოვდა, დაკომპლექტდა პროფესიონალებით და ქალაქის მეორე საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ბაზაზე არსებულ ერთ-ერთ გამორჩეულ საფაკულტეტო ქირურგიულ კლინიკად იქცა. გამოჩენილ ქართველ ქირურგს, მეცნიერული ქირურგიის ფუძემდებელს საქართველოში, პროფესორ გრიგოლ მუხაძეს ალექსანდრე მაჭავარიანთან მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა ჰქონია – ისინი ერთად იღვწოდნენ უმაღლესი სამედიცინო სკოლის შექმნისა და კლინიკური ქირურგიის განვითარებისთვის საქართველოში. გრიგოლ მუხაძე მას ახასიათებდა, როგორც არაჩვეულებრივ ადამიანს, საუკეთესო მეგობარს და თანამოაზრეს და აღნიშნავდა: „ალექსანდრე მაჭავარიანი არჩეულ იქნა პროფესორ-ხელმძღვანელად საფაკულტეტო ქირურგიული კლინიკისა, რომლის მოწყობაში მას დიდი ამაგი მიუძღვის. მან აქ შექმნა სანიმუშო საოპერაციო ბლოკი... დიდ დროს ანდომებდა და ღამეებს ატარებდა მძიმე ავადმყოფების საწოლებთან, გაჭირვების დროს კი ამხანაგებს ხშირად გვეძახდა კონსილიუმზე და თვითონაც დაუზარებლად მოდიოდა ჩვენთან... როცა პირადად ძალიან გამიჭირდებოდა, მივმართავდი მას და თავისი თბილი სიტყვით და მოპყრობით დამამშვიდებდა, გამამხნევებდა ხოლმე... და გაძლიერებული ენერგიით განვაგრძობდი მუშაობას“...

პროფესორი ალექსანდრე მაჭავარიანი შეთავსებით მუშაობდა წითელი ჯვრის საავადმყოფოშიც ქირურგიული განყოფილების გამგედ, სადაც 3000-მდე ოპერაცია გააკეთა, სისტემატურად აკეთებდა ოპერაციებს სამხედრო ჰოსპიტლებშიც.

ალექსანდრე მაჭავარიანის არაერთი კოლეგა აღნიშნავდა, რომ ის იყო საუკეთესო დიაგნოზისტი, ფრთხილი დასტაქარი და არაჩვეულებრივი ოპერატორი; ოპერაციას ისე არ გააკეთებდა, თუ ავადმყოფის მდგომარეობის ყველა მონაცემს სათანადოდ არ აწონ-დაწონიდა და შეაფასებდა. მხოლოდ ამის შემდეგ, განსაკუთრებული სიფრთხილით იღებდა გადაწყვეტილებას ოპერაციული ჩარევის შესახებ. კიდევ უფრო მეტ სიფრთხილეს იჩენდა იგი ოპერაციისას გაუტკივარების გამოყენების დროს. პროფესორი ალექსანდრე მაჭავარიანი იყო ადგილობრივი ანესთეზიის (ისე როგორც გრიგოლ მუხაძე – წელ-ზურგის ანესთეზიის) საქართველოში დანერგვის და გავრცელების ინიციატორი. მას ადგილობრივი ანესთეზია გამოყენებული ჰქონდა შემთხვევათა 90%-ში და არ ყოფილა არცერთი შემთხვევა, რომ მას რაიმე გართულება გამოეწვიოს.

აღსანიშნავია, რომ როგორც ექიმი ქირურგი, იგი არ კმაყოფილდებოდა იმით, რომ ავადმყოფმა ოპერაცია კარგად გადაიტანა – თავს ვალდებულად მიიჩნევდა, რომ ოპერაციის შემდგომ პაციენტი საბოლოოდ გამოეჯანმრთელებინა, ამიტომაც, ყოველი ნაოპერაციევი ავადმყოფი, პროფესორი მაჭავარიანის განკარგულებით, კლინიკაში სარგებლობდა ინდივიდუალური მოვლით – თითოეულს სამედიცინო მეთვალყურეობას უწევდა ერთი მედიცინის და, რაც უზრუნველყოფდა გართულებების თავიდან აცილებას და დროულ გამოჯანმრთელებას. სამაგალითო იყო თითოეული პაციენტისადმი მისი მზრუნველობა და გულისხმიერი დამოკიდებულება, ამასთან – სამართლიანი გულისწყრომა კლინიკაში უწესრიგობისა და საქმისადმი დაუდევარი დამოკიდებულების გამო. ამის გათვალისწინებით, გასაკვირი არაა ის დიდი ნდობა და სიყვარული, რასაც პაციენტები გამოხატავდნენ ცნობილი დასტაქრის მიმართ.

ალექსანდრე მაჭავარიანი საფაკულტეტო ქირურგიულ კლინიკაში

სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა

არ ყოფილა კლინიკური ქირურგიის არცერთი დარგი, რომლითაც პროფესორი ალექსანდრე მაჭავარიანი არ დაინტერესებულიყო – იგი ძალისხმევას არ იშურებდა ქირურგიის მრავალი პრობლემის გადაჭრისთვის, რომელთა შესახებაც არაერთი საინტერესო შეხედულება აქვს გამოთქმული სამეცნიერო ნაშრომებში, სახელმძღვანელოებსა თუ თავის ცნობილ ლექციათა ციკლში...

პროფესორ ალექსანდრე მაჭავარიანს, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის გარდა, ეკუთვნის ქართულ ენაზე პირველად დაწერილი



პროფესორი ალექსანდრე მაჭავარიანი ავადმყოფთან

სახელმძღვანელოები მუცლის ღრუსა და კიდურთა ქირურგიაში. მასვე ეკუთვნის დამხმარე სახელმძღვანელოს სახით გამოცემული – „კლინიკური ლექციები ქირურგიიდან“.

მუცლის ღრუს ქირურგიის სახელმძღვანელო ნაწილობრივ თარგმნილია, მისი უმეტესი ნაწილი კი ავტორის დაკვირვებათა ანალიზის შედეგადაა დაწერილი. მუცლის ღრუს ყველა ორგანოს ქირურგიული საკითხები წიგნში გაშუქებულია იმ დროისთვის მაღალ დონეზე – მუცლის ღრუს დაავადებათა დიაგნოსტიკა, ოპერაციის ჩვენებანი და წინაღმდეგჩვენებანი, ოპერაციის ტექნიკა, წარმოდგენილია სრულყოფილად, ისე რომ, წიგნს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. მუცლის ღრუს ქირურგიიის სახელმძღვანელოში ყოველი ორგანოს დაავადების ან დაზიანების დიაგნოსტიკასა და ქირურგიულ მკურნალობაზე საუბრისას ხაზგასმულია დაავადების ხასიათის სწორი გამოცნობის, ოპერაციული ჩვენებების ზუსტი დადგენის საკითხები.

თუ გავითვალისწინებთ იმ დროისთვის ქართულ ენაზე სახელმძღვანელოს დაწერის სირთულეს, მით უფრო, რომ ქართული სამეცნიერო სამედიცინო ტერმინოლოგია ჯერ კიდევ მუშავდებოდა, უნდა ითქვას, რომ ქართულ ენაზე გამოცემული ეს პირველი ქირურგიის სახელმძღვანელო, დაწერილი პროფესიული ოსტატობით, დახვეწილი ქართული ენით და სათანადო დასურათებით, მართლაც გამორჩეული იყო და იმ დიდ პასუხისმგებლობაზე მიუთითებდა, რომელსაც გრძნობდა ალექსანდრე მაჭავარიანი ხსენებული სახელმძღვანელოს დაწერისას.

პროფესორმა ალექსანდრე მაჭავარიან-

დასასრული გვ 6-ზე

ალექსანდრე მაჭავარიანი – მეხუთე ჰექტორი

დასაწყისი გვ 5-დან

მა ორი წიგნი მიუძღვნა კიდურთა ქირურგიას. ერთში მოცემულია კიდურთა რბილი ნაწილების დაავადებათა და დაზიანებათა კლინიკა, სიმპტომატოლოგია, დიაგნოსტიკა და ქირურგული მკურნალობის მეთოდები. მკურნალობის საკითხები გაშუქებულია ამომწურავად, პრაქტიკული საკითხების სწორად გადაჭრით. მეორე წიგნში გაშუქებულია ძვალ-სახსართა დაავადებებისა და დაზიანებების კლინიკა, სიმპტომატოლოგია და მკურნალობის საკითხები.

1939 წელს პროფესორმა ალექსანდრე მაჭავარიანმა გამოაქვეყნა რჩეული ლექციები კლინიკური ქირურგიიდან. ამ ნაშრომში ავტორს დეტალურად აქვს განხილული მთელი რიგი ქირურგიული დაავადებები.

პროფესორი ალექსანდრე მაჭავარიანის რიგი მეცნიერული ნაშრომები ხშირად ქვეყნდებოდა სამედიცინო ჟურნალებში. აღსანიშნავია ნაშრომი ისეთი იშვიათი დაავადების შესახებ, როგორიცაა Morbus Sodocu. ავტორი, გარდა იმისა, რომ ვრცლად მიმოიხილავს დაავადების სხვადასხვა ნიუანსს, გვთავაზობს საკუთარ დაკვირვებებს დაავადებაზე; ამასთან, მოწოდებული აქვს დაავადების მკურნალობა ნეოსალვარსანით, მის მიერ იმ დროს წამოყენებული ზოგიერთი დებულება ახლაც არ კარგავს აქტუალობას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ალ. მაჭავარიანის დამსახურება ენდოკრინოლოგიაში, კერძოდ, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მოშლის გამოვლენათა შესწავლის და მკურნალობის საქმეში. პროფესორ ალექსანდრე მაჭავარიანს ჩიყვის პრობლემა აინტერესებდა უფრო როგორც პათოლოგს, ვიდრე პრაქტიკოს ქირურგს – ჩიყვის მთელი პათოფიზიოლოგია და არა მხოლოდ ოპერაციული ტექნიკა.

ალექსანდრე მაჭავარიანი სამართლიანად ითვლება საქართველოში ჩიყვის წინააღმდეგ მებრძოლი სადგურის დაარსების ინიციატორად. იგი, ასევე, ჩიყვის წინაღმდეგ მებრძოლი კომისიის მუდმივი წევრი იყო საქართველოში.

უნდა აღინიშნოს, რომ ალექსანდრე მაჭავარიანისთვის, როგორც დიდი კლინიცისტისთვის, მეცნიერება მნიშვნელოვანი იყო პრაქტიკულ მედიცინასთან კავშირში და კლინიკაში მისი მიღწევების გამოყენების კუთხით. იგი ხშირად იმეორებდა: „სამკურნალო მეცნიერება უნდა იყოს ავადმყოფებისთვის და არა – ავადმყოფები მეცნიერებისთვის“...

1939 წელს, ალექსანდრე მაჭავარიანის უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, გამოიცა საფაკულტეტო ქირურგიის კლინიკის შრომათა კრებული, რომელშიც დაიბეჭდა მისი მოწაფეების მიერ შესრულებული 20-მდე სამეცნიერო შრომა. 20 წლის განმავლობაში ალ. მაჭავარიანის ხელმძღვანელობით წარმოებულმა კვლევითმა მუშაობამ გამოხატულება ჰპოვა არაერთ დისერტაციასა და ნაშრომში, რომელიც მის კლინიკაში დამუშავდა, მათ შორის – საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (აჭარაში, აფხაზეთში, სვანეთში, გურიაში) ალექსანდრე მაჭავარიანის მიერ მოწყობილი ექსპედიციების დროს შეგროვილი მასალა.

ალექსანდრე მაჭავარიანი მუდმივად ზრდიდა და ასწავლიდა ახალგაზრდებს, მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა მათი სამეცნიერო თუ კლინიკური უნარ-ჩვევების ათვისებაში; ხშირად აგზავნიდა მოწაფეებს სამეცნიერო მივლინებებში პროფესიული დახელოვნების მიზნით. ამით მან გაამდიდრა და გააფართოვა კლინიკა კვალიფიციური პერსონალით. მათ შორის იყვნენ ისეთები, რომლებიც შტატგარეშეც სიამოვნებით მუშაობდნენ, რადგან გრძნობდნენ ხელმძღვანელის გულისხმიერ დამოკიდებულებას და კეთილგანწყობას – მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა რომელიმე მისი მოწაფეთაგანი წარუდგენდა შრომას. ის ზედმიწევნით ყურადღებით განიხილავდა მას და ახალგაზრდებს აძლევდა საჭირო შენიშვნებს თუ მითითებებს; არა მხოლოდ კლინიკაში, ხშირად სახლშიც იბარებდა და საათობით ესაუბრებოდა და ასწავლიდა მათ, რადგან უსაზღვროდ ახარებდა მოწაფეების წარმატებები. მისი უშუალო ხელმძღვანელობით 400-მდე სამეცნიერო შრომა შესრულდა და 100-მდე კვალიფიციური ქირურგი აღიზარდა, მათ შორის, არაერთი გამორჩეული პროფესიონალი: ე. ზაქარაია, გ. ხეჩინაშვილი, დ. ბერეჟიანი, გ. გაჩეჩილაძე, გ. ფავლენიშვილი, ვ. ტყემალაძე, ბ. ჩიქოვანი, ვ. ოთხმეზური, ი. ასლანიშვილი, მ. კვირკელია, ა. მერაბიშვილი, თ. გიორგობიანი, დ. ღვინეფაძე, შ. გორდეზიანი და სხვები.

ალექსანდრე მაჭავარიანი იყო არაჩვეულებრივი პედაგოგი, ლექტორი, ბრწყინვალე ორატორი, რომელიც მკაფიოდ და გასაგებად გადასცემდა მსმენელს ცოდნას და გამოცდილებას. მისი ლექციები გამოირჩეოდა მდიდარი შინაარსით და კლინიკური მასალის კარგი შერჩევით, ამიტომაც აუდიტორია მუდამ სავსე იყო მსმენელით...

ხელმძღვანელ თანამდებობებზე

პროფესორი ალექსანდრე მაჭავარიანი გარდა სამეცნიერო, კლინიკური და პედაგოგიური საქმიანობისა, თითქმის მთელი სიცოცხლის მანძილზე, ეწეოდა საპასუხისმგებლო ადმინისტრაციულ საქმიანობასაც. ის გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი და შემდეგ – უნივერსიტეტის პრორექტორი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დაარსების შემდეგ, 1937 წლიდან, იგი ხელმძღვანელობდა ამ ინსტიტუტს, როგორც დირექტორი.

პროფესორი ალექსანდრე მაჭავარიანი 1933 წლიდან იყო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის კოლეგიის და სამეცნიერო საბჭოს წევრი; 1928 წლიდან – სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის კომისარიატის სამეცნიერო საბჭოს წევრი; მრავალი წლის განმავლობაში იყო ჟურნალ „თანამედროვე მედიცინის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი; 1934-35 წლებში – საქართველოს ექიმთა საზოგადოების ქირურგიული სექციის თავმჯდომარე; იყო ამიერკავკასიის ორი ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი (1925, 1935 წ.წ.). 1937 წელს ალექსანდრე მაჭავარიანი დაინიშნა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოადგილის პოსტზე. ის ჩვეული ენერგიით შეუდგა მუშაობას ქვეყანაში ჯანდაცვის სისტემის განვითარებისთვის; პარალელურად, ასრულებდა სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორის საპასუხისმგებლო მოვალეობას და ამ თანამდებობაზეც ნაყოფიერად იღვწოდა. ცნობილია მისი, როგორც რექტორის, განსაკუთრებული მზრუნველობა ახალგაზრდებისადმი, ცდილობდა საუკეთესო პირობები შეექმნა სტუდენტთა სწავლისა და პროფესიული განვითარებისთვის.

ალექსანდრე მაჭავარიანის მრავალფეროვანი მოღვაწეობის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენდა არჩევით ორგანოებში მუშაობა. მრავალი წლის მანძილზე იგი იყო საქართველოს მედსანშრომის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი. 1931 წელს ალ. მაჭავარიანი აირჩიეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად, 1934 წელს – საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად, 1937 წელს კი – სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. როგორც დეპუტატი, იგი მუდმივ მუშაობას ეწეოდა ამომრჩეველთა ინტერესების სასიკეთოდ.

ალექსანდრე მაჭავარიანი მეუღლესთან და შვილებთან ერთად

თამამად შეიძლება ითქვას, რომ, იმ პერიოდის საქართველოში, სამედიცინო სფეროში არცერთი მნიშვნელოვანი საქმე არ დაწყებულა ალექსანდრე მაჭავარიანის გარეშე – იგი ან მისი ინიციატორი, ან აქტიური მონაწილე გახლდათ.

ოჯახი და შთამომავლობა

ალექსანდრე მაჭავარიანი ახალგაზრდობიდანვე ტრიალებდა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის წრეში. მისი მეუღლე გახლდათ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, ქართული სათავადაზნაურო ბანკის ერთ-ერთი დირექტორის, ლევან ჯანდიერის ქალიშვილი, ეკატერინე. ლევან ჯანდიერი გამოირჩეოდა ლიტერატურის კარგი ცოდნით და ახლო მეგობრობა აკავშირებდა ქართველ კლასიკოსებთან: ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ვაჟა ფშაველასთან და გერმანელ მწერალ არტურ ლაისტთან, რომლებიც ხშირად სტუმრობდნენ მის ოჯახს სოფელ ვაჩნაძიანში. ეკატერინე, ნათლიის, ილია ჭავჭავაძის, რეკომენდაციით გაემგზავრა შვეიცარიაში, ლოზანას სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სადაც, 1907 წელს, წარჩინებით დაამთავრა აგრონომიის ფაკულტეტი და დაბრუნდა მშობლიურ სოფელ ვაჩნაძიანში, სადაც წარმატებით დანერგა სოფლის მეურნეობის ახალი მიღწევები. მისი თაოსნობით სოფელში აშენდა ლაბორატორია, სადაც ატარებდა ცდებს და ცოდნას უზიარებდა ახალგაზრდებს. **ეკატერინე ჯანდიერი-მაჭავარიანისა იყო პირველი ქართველი აგრონომი ქალი.**

ალექსანდრეს და ეკატერინეს სამი ვაჟი შეეძინათ: დავითი და ტყუპები: ლევანი და გიორგი.

ჩვენ საშუალება გვქონდა გავსაუბრებოდით ალექსანდრე მაჭავარიანის შვილიშვილს და შვილთაშვილს – მარინა და პაატა მაჭავარიანებს, რომლებიც სიამოვნებით გვესაუბრნენ სახელოვან წინაპარზე და ექიმობის ოჯახურ ტრადიციაზე, რომელიც დღესაც გრძელდება (სტატიაში გამოყენებულია ბატონი პაატას მიერ მოწოდებული საინტერესო ფაქტები პროფესორ ალექსანდრე მაჭავარიანის ბავშვობის და ოჯახის შესახებ).

მარინა (მაკა) მაჭავარიანი, ალექსანდრე მაჭავარიანის შვილიშვილი:

ბაბუაჩემის სამი ვაჟიდან ერთი, დავითი, ინჟინერი იყო, გიორგი და ლევანი – ექიმები. სამწუხაროდ, ბაბუას ვერ მოვესწარი, ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 1941 წელს გარდაიცვალა მძიმე დაავადებით – ავთვისებიანი სიმსივნით. სხვათა შორის, მოსკოვში სამკურნალოდ წასულს, მას თავად შეუფასებია დიაგნოზი და მოსალოდნელი არაკეთილსაიმედო გამოსავალი.

ბაბუაჩემის შესახებ ბევრი მსმენია უპირველესად, მამისგან, გიორგი მაჭავარიანისგან, რომელიც ყოველთვის სიყვარულით იხსენებდა მას. აღსანიშნავია, რომ ბებია, ეკატერინე ჯანდიერი, ადრე გარდაცვლილა, მაშინ, როცა ტყუპები 10 წლისანი იყვნენ. შვილების აღზრდის რთული მისია ბაბუას უტვირთავს, რაშიც დები - ფატი და თამარიც ეხმარებოდნენ. მამის გადმოცემით, ბაბუა განათლებული და საინტერესო ადამიანი ყოფილა – სრულყოფილად ფლობდა ფრანგულს, უყვარდა მუსიკა, განსაკუთრებით – ოპერა და ურთულეს ოპერაციებსაც თურმე ხშირად „ღიღინით“ ატარებდა. მას განსაკუთრებით გულისხმიერი დამოკიდებულება ჰქონია პაციენტებთან, რასაც ისინიც ხედავდნენ და აფასებდნენ; ყოფილა არაჩვეულებრივი ლექტორი და ორატორი. მამაჩემი იხსენებდა, რომ იგი, არა მხოლოდ დახვეწილი პროფესიონალი, არამედ კარგი ადამიანი და ყურადღებიანი მამა გახლდათ. შვილებმა, ძალიან ახალგაზრდებმა, 21 წლის ასაკში, დაკარგეს მამა. საინტერესოა, რომ, მოსკოვში სამკურნალოდ მყოფ ბაბუას, წერილი მოუწერია მათთვის, ჯერ კიდევ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებისთვის და სასარგებლო და გასათვალისწინებელი რჩევები მიუცია, როგორც მომავალი ექიმებისთვის.

ეკატერინე ჯანდიერი – ლოზანას სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებული

ექიმობის ოჯახური ტრადიცია ჩვენს ოჯახშიც გაგრძელდა – მართალია, მე მონათესავე პროფესია, ბიოლოგობა, ავირჩიე და ამჟამად სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ვარ, მაგრამ ჩემი და, თამარი, პროფესიით ექიმი გახლავთ – ალ. ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი. ექიმია მისი ვაჟიც (მე-4 თაობა) – **ირაკლი ლაცაბიძე**, კლინიკა „ენმედიცის“ ქირურგი, რომელიც წარმატებით მუშაობს ენდოკრინულ ქირურგიაში და ღირსეულად აგრძელებს დიდი ბაბუის გზას“...

პაატა მაჭავარიანი, ალექსანდრე მაჭავარიანის შვილთაშვილი:

ალექსანდრე მაჭავარიანის შთამომავლებიდან ორმა მამის გზა გააგრძელა – ლევანი ოფთალმოლოგი გახდა და ცენტრალურ რესპუბლიკურ საავადმყოფოში ხელმძღვანელობდა თვალის სნეულებათა განყოფილებას, გიორგიმ ქირურგია აირჩია – ხელმძღვანელობდა რკინიგზის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებას და იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის დოცენტი.

ალექსანდრე მაჭავარიანის შვილიშვილებიდან და შვილთაშვილებიდანაც რამდენიმემ ოჯახური ტრადიცია გააგრძელა. ლევან მაჭავარიანის შვილი – მამაჩემი, რომელსაც ბაბუის სახელი, ალექსანდრე, დაარქვეს, მეან-გინეკოლოგი იყო და მუშაობდა კ. ჩაჩავას ს/კ ინსტიტუტში.

პროფესიით მეც ექიმი გახლავართ, სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მეან-გინეკოლოგის სპეციალობით,10 წლის განმავლობაში ვმუშაობდი იოსებ ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტში, თუმცა მოგვიანებით დიპლომატის პროფესიით გავაგრძელე საქმიანობა და სხვადასხვა ქვეყანაში საპასუხისმგებლო პოზიციებზე მიხდებოდა მუშაობა; მაქვს უფროსი მრჩევლის დიპლომატიური რანგი.

ხშირად ამბობენ: პროფესია გულის კარნახით უნდა აირჩიოო. ჩემს შემთხვევაში, ალბათ, ეს დაბადებიდანვე განსაზღვრული იყო, რადგან სანამ მე პროფესიის არჩევაზე ფიქრს დავიწყებდი, ოჯახში უკვე ამბობდნენ, რომ **მაჭავარიანები ექიმებად იბადებიან.** დიდი ბაბუის შემდეგ მოდიოდნენ ბაბუები, ბებიები, მშობლები – ყველანი თეთრ ხალათებში, თითქოს ოჯახური ტრადიციის უხილავ რიტუალში ჩართულნი. ბავშვობიდანვე ვისმენდი ისტორიებს ურთულეს ოპერაციებსა და გადარჩენილ სიცოცხლეებზე. სახლის კედლებიც კი თითქოს მედიცინის ენაზე საუბრობდნენ...

ხშირად ხუმრობით მითქვამს, რომ სხვა გზა არ მქონდა და თვალდახუჭული გავყევი ოჯახურ ტრადიციას, თუმცა, რაც უფრო ვიზრდებოდი, მით უფრო ვაცნობიერებდი, რომ არჩევანი მაინც ჩემი იყო: **მე თვითონ მომინდა იმ სამყაროში შესვლა, სადაც ადამიანის ტკივილი შენს პასუხისმგებლობად იქცევა და მისი სიცოცხლე შენი უმაღლესი საზრუნავი ხდება.**

ექიმობა ავირჩიე არა მხოლოდ იმიტომ, რომ ასე იყო ჩვენს ოჯახში მიღებული, არამედ იმიტომ, რომ ამ ტრადიციაში ჩემიც დავინახე – სურვილი, ვიყო იქ, სადაც შეიძლება ყველაზე მეტად სჭირდებოდე ვინმეს...

ალექსანდრე მაჭავარიანი კლინიკაში

ჩვენმა საინტერესო და პატივსაცემმა რესპონდენტებმა სიამაყით გაიხსენეს ის განუზომელი ღვაწლი, რაც ალექსანდრე მაჭავარიანმა დასდო საქართველოში ჯანდაცვის სისტემის, სამედიცინო განათლების და მეცნიერების განვითარებას; მათთვის სასიხარულო და საამაყოა ისიც, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აგრძელებს იმ ტრადიციებს, რასაც ალექსანდრე მაჭავარიანმა და მისმა თანამოაზრეებმა, სამედიცინო ელიტის ღირსეულმა წარმომადგენლებმა, ჩაუყარეს საფუძველი.

ნატო გოლაძაძე

ქალაქის ოკვლენი

მარიამ ბაქრაძე-დედაბრიშვილი

მარიამ ბაქრაძე

ქართველ ქალთა ემანსიპაცია მედიცინის სფეროში განათლების, პროფესიული უფლებებისა და სოციალური თანასწორობისთვის ბრძოლას ასახავს. მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე მათ ევროპაში დაიწყეს პროფესიის შეძენა სამედიცინო მიმართულებით და შეძლეს კიდეც ამ მხრივ თავიანთი გონიერების და შესაძლებლობების დამტკიცება.

საფრანგეთი ყოველთვის მიმზიდველი იყო ქართველთათვის სამედიცინო განათლების დაუფლებისა და გაღრმავების თვალსაზრისით, განსაკუთრებით – პარიზის უნივერსიტეტი და პასტერის ინსტიტუტი. ერთ-ერთი პირველი ქართველი ქალი, რომელმაც უცხოეთში შეძლო მიეღო უმაღლესი სამედიცინო განათლება, **მარიამ ბაქრაძე,** მოგვიანებით, იგივე – მარიამ ბაქრაძე-დედაბრიშვილია. მას პირველ ქართველ პედიატრ-ინფექციონისტ ქალად მიიჩნევენ ევროპული დიპლომით, ქალი – ევროპული დოქტორის ხარისხით კი, იმ პერიოდის სამედიცინო სამყაროში განსაკუთრებული მოვლენა იყო. მისი მოღვაწეობის პერიოდი ემთხვევა ხანას, როდესაც ქალთა განათლება და პროფესიული კარიერა, ზოგადად, ევროპაშიც, ძალიან შეზღუდული იყო და ამ მხრივ მანდილოსანთა აქტიურობა რევოლუციურ ხასიათს ატარებდა. მარიამი ევროპაშივე იბრძოდა გენდერული წინააღმდეგობების დასაძლევად და ხელს უწყობდა ქალთა ემანსიპაციის პროცესს.

მარიამ ბაქრაძე თბილისში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაიბადა. ოჯახში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ განათლებას, განსაკუთრებით – მამა, რომელიც დარწმუნებული იყო ქალისთვის განათლების მიღების საჭიროებაში. მარიამი ბავშვობიდანვე დაკვირვებული, გონიერი და წიგნიერი გოგონა იყო. მან, თბილისის ქალთა გიმნაზიის დასრულების შემდეგ, სამედიცინო განათლების მიღება გადაწყვიტა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მე-19 – მე-20 საუკუნეების მიჯნაზე ევროპის ბევრი უმაღლესი სკოლა სასწავლებლად ქალების მიღებაზე უარს აცხადებდა და მარიამმაც იმ დროისთვის ყველაზე პროგრესულ სამედიცინო ცენტრს – პარიზის უნივერსიტეტს მიაშურა და იგიც, თბილისში დაბადებული და ქართული ტრადიციებით აღზრდილი გოგონა, მალევე ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტის სტუდენტი ხდება; მე-19 საუკუნის მიწურულს კი, 1897 წელს, პარიზის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტს ამთავრებს, სადაც დაეუფლა ანატომიისა და ფიზიოლოგიის საფუძვლებს, გაიარა პედიატრიის და ორთოპედიის პრაქტიკული ტრენინგი და იმ დროისთვის ქალთათვის მიუწვდომელი – ქირურგიული სტაჟირება. მანვე, 1898 წელს, პარიზში დაიცვა დისერტაცია თემაზე – „ბავშვთა დამბლების შედეგად განვითარებული მრუდე ტერფის ქირურგიული მკურნალობა“. დისერტაცია უკავშირდებოდა პოლიომიელიტს და ქვემო კიდურების დეფორმაციებს, რაც აქტუალური თემა იყო მაშინდელი ეპოქისთვის და ავტორის მიერ მსგავსი გამოწვევებით აღსავსე კლინიკური პრობლემებით დაინტერესების საუკეთესო დასტური გახლდა; დისერტაცია, მაშინდელი პრესის თანახმად, პროგრესულ სამეცნიერო ნაშრომად მიიჩნეოდა ევროპული მასშტაბით, რაც ნათლად მიუთითებს ავტორის ღრმა კლინიკური აზროვნების, სრულყოფილი ქირურგიული მომზადების და, ასევე, პედიატრიასა და ორთოპედიაში მისი დიდი კომპეტენციის შესახებ.

უნივერსიტეტის შემდგომ პერიოდში, მ. ბაქრაძე, ორი წლის განმავლობაში, მუშაობდა პარიზის ბავშვთა სნეულებათა კლინიკებში, ასევე, ლუი პასტერის ინსტიტუტში, სადაც გაიარა ინფექციური დაავადებების კურსები ვაქცინებისა და ეპიდემიების კვლევების მიმართულებით (მათ შორის: ქოლერა, დიფთერია, ტუბერკულოზი და ა.შ.).

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1902 წელს, მარიამ ბაქრაძე ოჯახს ქმნის მწერალ **შიო არაგვისპირელთან (დედაბრიშვილთან)** და ლიტერატურულ ფსევდონიმ –**„დედაბერს“** სწორედ მეუღლის გვარისგან იღებს. მათ შეეძინათ ოთხი შვილი; ოჯახი იმ პერიოდის საქართველოს ინტელექტუალური და კულტურული ცხოვრებით ცხოვრობდა.

საინტერესოა, რომ მარიამ ბაქრაძეს მუშაობა მოუხდა როგორც რუსეთის იმპერიისდროინდელ, ასევე, – დამოუკიდებელ, ბოლოს კი – საბჭოთა პერიოდის საქართველოში.

თბილისში დაბრუნების შემდეგ, მან, 1900-იან წლებში, მუშაობა დაიწყო ექიმ მიხეილ გედევანიშვილის კერძო სამკურნალოში, რომელიც მოწყობილი იყო ილია ჭავჭავაძის დის – ელისაბედ საგინაშვილის სახლში, ყოფილი ნიკოლოზის ქუჩაზე; იგი ამჟამად ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმს წარმოადგენს, ივანე ჯავახიშვილის ქ. N7-ში) – „კვირას, 5 სექტემბერს, აკურთხეს ,,ტფილისის კერძო სამკურნალო, მკურნალის მ. გედევანიშვილისა, რომელიც ნიკოლოზის ქუჩაზე, საგინაშვილის სახლში („ივერიის“ რედაქციის გვერდზედ) არსებობს. სამკურნალო მიიღებს ავადმყოფებს ყოველის სენით შეპყრობილთ, გადამდები სენით და სულით ავადმყოფთა გარდა. კურთხევას ბევრი ხალხი დაესწრო (გაზეთი „ივერია“, N 192, 1899 წელი)“.

აქ განათავსეს კავკასიაში პირველი რენტგენისა და ელექტროფიზიოთერაპიის ცენტრი. შენობის რამდენიმე ოთახი ილიამ უფასოდ დაუთმო ექიმ მიხეილ გედევანიშვილს, სადაც მოწყობილ უფასო სამკურნალოში გადაუდებელ დახმარებას უწევდნენ პაციენტებს. საინტერესოა, რომ მარიამ ბაქრაძე და სხვა ექიმები არა მხოლოდ პედიატრიულ კონსულტაციას და პირველად დახმარებას უწევდნენ პაციენტებს, არამედ აქ არაერთი სახის ქირურგიული ოპერაციაც ტარდებოდა.

აღსანიშნავია, რომ მ. ბაქრაძე სამშობლოში დაბრუნდა, არა მხოლოდ მკურნალი, არამედ, ახალი იდეების დამნერგავ-განმახორციელებელიც. დიდია მისი წვლილი თანამედროვე ქართული მედიცინის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. მისი სამშობლოში დაბრუნების დროს, თბილისში მასიურად იყო გავრცელებული დიფტერიის, ქუნთრუშას, ტიფის ეპიდემიები, აღირიცხებოდა პოლიომიელიტის შემთხვევების მატება, ტუბერკულოზის დაავადების ზრდა; ყოველივე ეს კი მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა. მარიამ ბაქრაძემ საფუძველი ჩაუყარა ბავშვთა ინფექციური სამედიცინო სისტემის განვითარებას საქართველოში და პირველი იყო, ინფექციური სნეულებების დასაძლევად მისი დროის ევროპული ცოდნის მეთოდების გამოყენებით რომ მუშაობდა; მან, თბილისში ერთ-ერთმა პირველმა, დაიწყო ინფექციური პაციენტების რეგისტრაცია, რასაც მაშინდელი სამედიცინო პრაქტიკა არ ითვალისწინებდა; ასევე – ინფექციური კერების მონიტორინგი, ევროპული სანიტარიული წესების დანერგვა, დედების განათლება ჰიგიენასა და ბავშვთა მოვლაში; მასვე ეკუთვნის კლინიკურ დაკვირვებებზე დაფუძნებული პირველი ჩანაწერების შემოღების პრაქტიკა. ამ პერიოდში ანტიბიოტიკი ჯერ კიდევ არ არსებობდა და მკურნალობა ეფუძნებოდა იზოლაციას, ჰიგიენას, კვებას, ტემპერატურის კონტროლს, მასაჟს, რეაბილიტაციას და ა.შ.

ექიმ მარიამი ბაქრაძის საქმიანობის ძირითად სფეროს პედიატრია და ბავშვთა ინფექციური დაავადებები წარმოადგენდა, სწორედ მისი დამსახურებაა თავის დროზე თბილისის ბავშვთა ინფექციური სამსახურის ჩამოყალიბება.

მარიამ ბაქრაძემ საქმიანობა დედაქალაქის პირველ საავადმყოფოში დაიწყო, სადაც, 1908-1938 წლებში, ინფექციური განყოფილების ხელმძღვანელი გახლდათ; მისი ხელმძღვანელობით, განყოფილება დედაქალაქში საუკეთესო გახდა. ქალბატონ მარიამს კოლექტივი სიყვარულით „დედაბერს“ ეძახდა. მოგვიანებით, 1938 წლიდან, იგი თბილისის ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს დირექტორად ინიშნება.1941 წელს რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის წოდებას ანიჭებენ, რაც ქალბატონებისთვის საბჭოთა ხელისუფლების პირობებში იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა.

მ. ბაქრაძის კლინიკური საქმიანობა ოთხი ათეული წელი გრძელდებოდა და ამ პერიოდში დარგში, მისი დამსახურებით, ევროპული სტანდარტის მქონე კლინიკური პრაქტიკა დაინერგა.

„მშვიდი, მაგრამ ძლიერი ქალბატონი, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ეპოქის სამედიცინო სისტემის განვითარებაზე“, – წერდა მის შესახებ თანამედროვე ქართული პრესა. როგორც მისი კოლეგები აღნიშნავდნენ, მარიამის თავშეკავებული ხასიათი გახდა კიდეც მაგალითი ქალისა, ღირსების, ცოდნისა და ადამიანურობის ერთად ტარებას რომ ახერხებდა.

მარიამ ბაქრაძე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობასაც; იყო მკაცრი, მაგრამ სტუდენტებზე გადაგებული პედაგოგი. ისინი დიდი ინტერესით ისმენდნენ მის ლექციებს და აღნიშნავდნენ, რომ მათ პედაგოგს ევროპული განათლებით გაძლიერებული კლინიკური ინსტინქტი ჰქონდა გამომუშავებული.

მნიშვნელოვანია, ასევე, მისი წვლილი საზოგადოებრივი ჯანდაცვის განვითარების მიმართულებითაც; საქართველოში ქალთა განათლების ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდა, ეწეოდა სოციალურად დაუცველების უფასოდ მკურნალობის პრაქტიკას და საზოგადოების ამ ფენისადმი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა; ასევე, მუშაობდა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, კერძოდ – წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, იყო მხარდამჭერი ქალთა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა განათლებისა და ჯანდაცვის მიმართულებით.

ყოფილი მ. გედევანიშვილის სამკურნალოს (ამჟამად ილიას მუზეუმის) ეზო

შვილები: ნუნუ, ნათელა, შოთა და ბიძინა დედაბრიშვილები

მეუღლესთან და შვილებთან ერთად

გარდა სამედიცინო საქმიანობისა, მარიამ ბაქრაძე-დედაბრიშვილი აქტიურად იყო ჩართული ლიტერატურულ საქმიანობაშიც. იმდროინდელ ქართულ პრესაში – „ნაკადული“, „მოამბე“, „ჯეჯილი“– ხშირად ქვეყნდებოდა მისი საბავშვო მოთხრობები და ტექსტები, სადაც საუბარი იყო ადამიანურ ღირებულებებზე, ზნეობასა და კეთილშობილებაზე, შრომის მნიშვნელობაზე; ავტორი, მკითხველს, ასევე, ესაუბრებოდა ბავშვთა დაავადებებზე, ჰიგიენის, ჯანმრთელობის საკითხებსა და დედათა განათლებაზე. მისი აზრით, გავრცელებული ინფექციების დიდი ნაწილი დაბალი ჰიგიენიდან მოდიოდა და მისი ეს ლიტერატურული მცდელობანი განათლებისა და ჰიგიენის დანერგვის აუცილებლობას და პოპულარიზაციის საქმეს ემსახურებოდა.

სამწუხაროდ, დიდი დატვირთვისა და გადაღლის ფონზე, მარიამ ბაქრაძე-დედაბრიშვილისა, არცთუ მხცოვან ასაკში გამოაკლდა სამედიცინო საზოგადოებას.

„ევროპულად განათლებული, კლინიკურად თანამედროვედ მოაზროვნე, პრინციპული და საოცრად გულისხმიერი ადამიანი“, - ასეთად რჩება მეოცე საუკუნის გამორჩეული ექიმი და საზოგადო მოღვაწე მარიამ ბაქრაძე-დედაბრიშვილი როგორც იმდროინდელ, ასევე, ზოგადად, – ქართველი საზოგადოებრიობის მეხსიერებაში, რამეთუ მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე ქართველი ხალხის და საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვას და განვითარებას შეალია.

დარეჯან კომლაძე

პუბლიკაციაში გამოყენებული ფოტო-მასალა დაცულია ქ. თბილისის ა (ა) იპ. მუზეუმების გაერთიანების შიო არაგვისპირელის მემორიალურ მუზეუმში; ამ მასალის მოწოდებისთვის და, ასევე, ინფორმაციული მხარდაჭერისთვის მადლობას ვუხდით მუზეუმების გაერთიანების გენერალურ დირექტორს, ბატონ ***გიგა დაიაურს*** *და კოლექციებისა და ფონდების მენეჯერს, ქალბატონ* ***ნელი ბუმბეიშვილს.***

მ.ბაქრაძე მარჯვნიდან მეორე, მეორე რიგში ინფექციური საავადმყოფოს ეზოში

მ.ბაქრაძე და შ.არაგვისპირელი მეგობრებთან ერთად

კლასიკური მუსიკის ზეიმი

მაღალი საშემსრულებლო კულტურით გამორჩეული თსსუ-ის კულტურის ცენტრთან არსებული კლასიკური მუსიკის ჯგუფის წევრთა შემოქმედება უკვე თხუთმეტი წელია მსმენელის მოწონებას იმსახურებს. ახალგაზრდათა წარმატება დიდადაა განპირობებული მათი ხელმძღვანელის, ბატონი **გოდერძი ჩიტაიშვილის,** პედაგოგიური ალღოთი, ორგანიზებულობით და ახალგაზრდებისადმი თანადგომის შესაშური უნარით.

სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულმა არაერთი თაობის წარმომადგენელმა სამედიცინოელმა სტუდენტმა შეძლო ამ ხნის განმავლობაში საზოგადოების ყურადღების მიპყრობა და, შესაბამისად, – აღიარების მოპოვებაც.

იმ დღესაც ერთგვარი საანგარიშო კონცერტით წარდგნენ მსმენელის წინაშე ძველი და ახალი თაობის სტუდენტები, რომელთათვისაც ნამდვილად სასიცოცხლო მოთხოვნილებადაა ქცეული კლასიკური მუსიკის სიყვარული, იქნება ეს – საოპერო ხელოვნება, საფორტეპიანო თუ სავიოლინო მუსიკა, კლარნეტი თუ ფლეიტა...

საღამოს უძღვებოდა თსსუ-ის რეზიდენტი **გიგი გორგაძე**, მრავალმხრივი ნიჭიერებით და ცოდნით გამორჩეული ახალგაზრდა, რომლის მიერ შესრულებულმა კლასიკურმა თუ საკუთარმა ნაწარმოებებმა, დამსწრეთა ყურადღება დაიმსახურა. ამასთან, მისი, როგორც წამყვანის მიერ, თითოეული ნომრის წინ წარმოდგენილმა ე.წ. მუსიკალურმა წიაღსვლებმა, გაცილებით საინტერესო გახადა ეს საღამო.

თორნიკე თომაშვილმა, ვასილ თევდორაშვილმა, მარიამ მეტრეველმა, ნინო მჭედლიძემ, ანდრია გლავაცკიმ, იოსებ ბერძენიშვილმა, ნინო კაჭარავამ და ნია ფიფიამ, ანა კორახაშვილმა, მიხეილ დუმბაძემ, ვერიკო და ნინო გერგაულებმა, ანა არაბიძემ მაღალ საშემსრულებლო დონეზე წარმოადგინეს მუსიკალური ნომრები – ბიზეს ოპერიდან – „კარმენი", შოპენის „ნოქტიურნი", ჰენდელის „პასაკალია", ფრანკოისის „ჩემი გზა", რახმანინოვის „პრელუდია", ბაბაჯანიანის „ელეგია", ლაღიძის „რონდო-ტოკატა" და სხვ.

„ბგერების ხიბლი გასაოცარი" – ბატონი გოდერძის ლექსის ამ სტრიქონებით დასრულდა მშვენიერი საღამო, რომელიც სამედიცინო უნივერსიტეტში კლასიკური მუსიკის ზეიმად იქცა და მსმენელის ბევრი აპლოდისმენტი და სიყვარული თან გაიყოლა.

დარეჯან კომლაძე

სტუდენტური კაპელა „კანტა მედიკა" და მუსიკა როგორც ასისტობის განუყოფელი ნაწილი

2025 წლის 25 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თეატრალურ დარბაზში კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლების და სახელოვნებო ჯგუფების საახალწლო კონცერტი გაიმართა, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრებიდან მნიშვნელოვან თარიღს – 48 წლისთავს მიეძღვნა. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა სიმღერის და ცეკვის სახალხო, დამსახურებული ანსამბლი, თანამედროვე და ლათინურ-ამერიკული ცეკვების ანსამბლი „ვეგა", გოგონათა ტრადიციული მუსიკის ანსამბლი „დეკა", კლასიკური მუსიკის ჯგუფი და სტუდენტური კაპელა „კანტა მედიკა", რომელიც, საახალწლო კონცერტზე პირველად, მრავალფეროვანი რეპერტუარით წარდგა მსმენელის წინაშე. ჩვენ დავინტერესდით ახალშექმნილი შემოქმედებითი გუნდით და გავესაუბრეთ კულტურის ცენტრის დირექტორს, ბატონ ბადრი მაჭავარიანს და კაპელა „კანტა მედიკას" ხელმძღვანელს, ნინო ცინცაძეს.

კულტურის ცენტრის დირექტორი **ბადრი მაჭავარიანი**: „2024 წლის გაზაფხულზე, სამედიცინო უნივერსიტეტის კულტურის ცენტრში, რექტორის, პროფესორი **ირაკლი ნატროშვილისა** და კანცლერის, ბატონი **ალექსანდრე ბუაჩიძის** თაოსნობით დაარსდა თსსუ-ის სტუდენტური კაპელა, რომლის ხელმძღვანელად მოწვეულია კონსერვატორიის კურსდამთავრებული, ქორმაისტერი ნინო ცინცაძე, რომელმაც კაპელას „კანტა მედიკა" უწოდა.

კაპელა პირველად მსმენელის წინაშე სექტემბერში წარდგა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შესრულებით, წლის ბოლოს კი, თსსუ-ის თეატრალურ დარბაზში გამართულ საახალწლო კონცერტზე მან უკვე რამდენიმე მუსიკალური ნომერი წარმოგვიდგინა და მსმენელის დიდი მოწონება დაიმსახურა.

კულტურის ცენტრის სახელით მინდა მივულოცო პირველი წარმატება კაპელას და მის ხელმძღვანელს. ვიმედოვნებ, რომ მომავალშიც გაგვახარებენ თავიანთი შემოქმედებით, რაც საწინდარი იქნება იმისა, რომ კიდევ უფრო მეტი თსსუ-ის სტუდენტი ჩაერთვება კაპელას შემოქმედებით საქმიანობაში"...

თსსუ-ის კაპელა „კანტა მედიკას" ახალგაზრდა ხელმძღვანელი სიამოვნებით გვესაუბრა განვლილ შემოქმედებით გზაზე, მუსიკის სიყვარულსა და ამჟამინდელ საქმიანობაზე.

ნინო ცინცაძე თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. მან, კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში, ამავე პროფილით, პოლონეთის ქ. ვროცლავში გაიღრმავა ცოდნა, სადაც Erasmus-ის პროგრამით იმყოფებოდა; ამჟამად მაგისტრატურაში აგრძელებს სწავლას, პარალელურად, პროფესიული დახელოვნებისთვის, მუდმივად სწავლის და ძიების პროცესშია – ხშირად მონაწილეობს მასტერკლასებში, კონკურსებში... ახლახან იტალიასა და პოლონეთში გამართულ პრესტიჟულ სადირიჟორო კონკურსებში მონაწილეობდა და, როგორც გვითხრა, ეს იყო მნიშვნელოვანი გამოცდილება მისთვის. დიდი გამოცდილება იყო, ასევე, გუნდ „კამერატას" დირიჟორად მუშაობაც წლების წინ; ამასთან ერთად, ერთდროულად მღეროდა სხვადასხვა გუნდში, მუშაობდა მუსიკის მასწავლებლად, მონაწილეობს საოპერო დადგმებში საქართველოსა და გერმანიაში... მოკლედ, მუსიკა მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.

როგორც ნინომ გვითხრა, ოჯახში ყველა მუსიკოსია. დედა მე-14 და 26-ე მუსიკალურ სკოლებში ფორტეპიანოს, ხოლო საპატრიარქოს სამრევლო სკოლაში გალობისა და ფოლკლორის პედაგოგად მუშაობდა; ძმა, გურამ ცინცაძე და რძალი, სოფია ხუციშვილი, ვენაში მოღვაწე წარმატებული დირიჟორები არიან; უმცროსი და, ანასტასია, მომავალი ჩელისტია. მუსიკოსია მისი მეუღლე, გიორგი არჩვაძეც.

ცხადია, ჩვენი საუბრის მნიშვნელოვანი ნაწილი სამედიცინო უნივერსიტეტში კაპელის შექმნას და ამ კუთხით მის საქმიანობას დაეთმო. ნინო აღნიშნავს: „დიდი სურვილი მქონდა, რომ შემექმნა გუნდი და მიღებული ცოდნა და გამოცდილება ცოცხალ პროცესად მექცია. კმაყოფილი და ბედნიერი ვარ, რომ სამედიცინო უნივერსიტეტში მოხერხდა ეს, რადგან მართლაც არაჩვეულებრივ გარემოში მიხდება საქმიანობა, რისთვისაც **დიდი მადლობა მინდა ვუთხრა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და გუნდის წევრებს.**

მახარებს, რომ ამდენი ნიჭიერი და მონდომებული სტუდენტი შეკრიბა მუსიკის სიყვარულმა, რომელთა უმრავლესობისთვის საგუნდო მუსიკა, მართალია, სიახლე იყო, თუმცა ამჟამად ისინი არაჩვეულებრივად ართმევენ თავს პოლიფონიურ სირთულეს და მრავალფეროვნებას, რაც ჩემთვის ყოველთვის ჯადოსნურ სივრცედ თუ სამყაროდ აღიქმებოდა...

ჩვენი პირველი შეხვედრა მსმენელთან სექტემბერში შედგა, როცა სწავლის დაწყებისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი შესრულდა. ოქტომბრიდან რეპეტიციები დავიწყეთ. გუნდი 40 მომღერალ ახალგაზრდას აერთიანებს – როგორც ვაჟებს, ასევე, გოგონებს. ისინი მოსმენის შემდეგ შეირჩა და აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტია. ცხადია, სასიხარულოა, რომ მოკლე დროში მათ უკვე მოასწრეს საგუნდო მუსიკის შეყვარება და გუნდიც ჩამოყალიბდა...

ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, როგორი იქნებოდა ეს გუნდი, რადგან მუსიკასა და, ზოგადად, შემოქმედებაში, დიდი მნიშვნელობა აქვს ემოციების გაცვლა-გაზიარებას, რაც, ფაქტობრივად, ერთგვარი თერაპიაცაა. მიუხედავად იმ დატვირთული რეჟიმისა, რაც სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტობას ახლავს, ისინი მაქსიმალურად მონდომებულები და მოტივირებულები არიან და თითქმის არასოდეს აცდენენ რეპეტიციებს, რაც, მაფიქრებინებს, რომ ჩემი უმთავრესი მიზანი – მათში საგუნდო მუსიკის სიყვარულის გაღვივება – წარმატებით ხორციელდება.

საახალწლო კონცერტზე ვეცადე განსხვავებული, მრავალფეროვანი და შერეული (ქართული და უცხოური) რეპერტუარით წარვმდგარიყავით მსმენელის წინაშე. მათ შორის იყო პატრიარქის საგალობელი „კირიე ელეისონ". მსმენელის მოწონებას ცხადყოფდა ოვაციები საკონცერტო ნომრების შემდეგ, რაც ჩვენი ერთობლივი შრომის შედეგია და მნიშვნელოვანი ბიძგი თუ სტიმულიც სამომავლო საქმიანობისთვის.

აღვნიშნავდი იმასაც, რომ ახალგაზრდებში უფრო და უფრო პოპულარული ხდება საგუნდო მუსიკა, რაც, მნიშვნელოვანწილად, საუნივერსიტეტო კულტურის ცენტრებთან არსებული გუნდების დამსახურებაა – სხვადასხვა ღონისძიებასა და კონკურსში მათი მონაწილეობა, თავისთავად, ხელს უწყობს აღნიშნული მუსიკის პოპულარიზებას ქვეყნის მასშტაბით".

ჩვენი საუბარი გუნდის სახელწოდებასაც შეეხო, რომელიც ნინომ ჟღერადობის და შინაარსის გათვალისწინებით შეარჩია და მომღერალ ექიმებს დაუკავშირა, ამიტომაც ეწოდა კაპელას „კანტა მედიკა".

კაპელის ხელმძღვანელი ამჟამად ახალ რეპერტუარზე მუშაობს, ელოდება მუსიკით დაინტერესებულ ახალგაზრდებსაც გუნდში და, ამასთან ერთად, ემზადება საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების X ეროვნულ კონკურსში მონაწილეობისთვის.

წარმატებას ვუსურვებთ ახალშექმნილ კაპელას. გვჯერა, საახალწლო კონცერტზე ღირსეული შემოქმედებითი განაცხადი დიდი და მნიშვნელოვანი გამარჯვებების საწინდარი იქნება.

ნატო ბოლქვაძე

„სამედიცინო გაზეთის" რედაქცია
ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64
კორესპონდენტები დარეჯან კომლაძე ტ.:558 17 08 47 ნატო ბოლქვაძე ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა newspaper@tsmu.edu